110310018002774296
21.07.2022

1366662337269

# საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N6 ტელ.:  2 98 20 94  (56 24 შიდა)

**ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**
**გადაწყვეტილების, განჩინების ასლების**

## გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

**ბს-715(კ-22)**

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას**
**მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის N109**

გეგზავნებათ ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 23 ივნისის განჩინების ასლი.

**მოსამართლის თანაშემწე** ა. თურმანიძე **ანა თურმანიძე**

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

110310018002774296

1363276386971

**საქართველოს უზენაესი სასამართლო**

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**

**ხარვეზის დადგენის შესახებ**

საქმე №ბს-715(კ-22) 23 ივნისი, 2022 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე თამარ ოქროპირიძემ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად, შევამოწმე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის (მოპასუხე) საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 მარტის განჩინებაზე (მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელე) - მიხეილ რობაქიძე).

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნებს. კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას ითხოვს იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეა არა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, არამედ მიხეილ რობაქიძე. ამდენად, ბუნდოვანი და დასაზუსტებელია კასატორის მოთხოვნა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხარვეზის შევსების მიზნით, კასატორს უნდა დაევალოს მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის წარმოდგენა დაზუსტებული საკასაციო მოთხოვნის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და დარჩება განუხილველად.



ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. კასატორმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ, ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინოს საკასაციო საჩივარი დაზუსტებული საკასაციო მოთხოვნის მითითებით (იმდენ ასლად, რამდენი მხარეც არის საქმეში). წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვება და დარჩება განუხილველად;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოსამართლე თამარ ოქროპირიძე